№ 3

# ივერია

19 იანვარი 1909 წ.

ფასი ერთი შაური

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, ред. газ. „ИВЕРІА“ К. П. Туманову.

გაზეთი „ივერია“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ყველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

**წლის ფასი 3 მან.**

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. **თუმანიშვილი.**

რუსული ყოველ-დღიური გაზეთი

## „Закавказское Обозрѣніе“

ფასი წლიურად ტფილისში 6 მან. ნახევარის წლით 3 მან. 50 კაპ.
ტფილისს გარეთ წლიურად 8 მან. ნახევარი წლით 4 მან. 50 კაპ.
თვიურად ყველგან 75 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь, д. Гургенова, ряд. съ конторою нотаріуса Мгеброва. 0—1

კახურ ღვინოების საწყობი

## „ძმობა“

**ტფილისი: გოლოვინის პროსპექტი, ჭავჭავაძის ქუჩის კუთხე. დომჟანსკის სახლი.**

## ამხ. „სორაპანისა“

დიდი ხანია სამართლიანი საყვედური ისმის საზოგადოებაში ქართულ წიგნების უქონლობის გამო. უეჭველია, გასულ საუკინის მესამოცე და მესამოცდაათე წლებთან შედარებით წიგნის საქმე ჩვენში ფრიად განვითარდა, მაგრამ დღესაც დიდი სიღარიბეა წიგნებისა. ქართული წიგნი არ მოიპოვება არც მაღაზიაში, არც ბიბლიოთეკაში, არც ოჯახში. ხშირად გაგვიგონია საყვედური, ბიბლიოთეკაში რაც ქართული წიგნი იყო, გადავიკითხე და ახლა აღარა მაქვს რაო. წიგნის მაღაზიაში რომ შეხვიდეთ, თითებზე ჩამოითვლით სერიოზულ ქართულ წიგნებს. გადის თვეები, ხან წლებიც და ერთი-ორი ხეირიანი თხზულება თუ გამოვა ქართულ ენაზე.

არ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მოთხოვნილება არ იყოს წიგნებისა. შეიძლება, სუსტია ჯერ კიდევ მოთხოვნილება, მაგრამ დღე და დღე მატულობს და უფრო გაიზდება, თუ ახლანდელი მოთხოვნილება არ დარჩება დაუკმაყოფილებელი. ჩვენი პირადი გამოცდილება გვეუბნეაა, რომ ჩვენში წიგნს ექნება გასავალი, წიგნი დაიბეჭდება და გავა, თუ ყველასათვის მისაწდომი იქნება.

ვფიქრობთ, რომ თუ ქართული წიგნი შინაარსიანი იქნება, ამასთანავე იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწდომი, 1500 ცალი მაინც უნდა გასაღდეს.

ამისათვის ჩვენ გადავწყვიტეთ მივცეთ მსურველს წიგნი იმდენ ფასად, რამდენათაც ჩვენ დაგვიჯდება, რომ ყველასათვის ხელ მისაწდომი იქნეს წიგნის შეძენა. ჩვენ შეძლებას ვაძლევთ მსურველს პროვინციის ყველა დაბა-ქალაქში ჩვენ აგენტებთან მოაწერონ ხელი გამოცემას და იქვე მიიღონ გამოცემული წიგნიც.

ამ მოსაზრებით განვიზრახეთ, გამოვცეთ რამოდენიმე წიგნი, ყველაზედ უწინარეს კაზმულ მწერლობის ნაწარმოები, ამ საერთო სათაურით:

## ქართველი და უცხოელი მწერლები

ჩვენს გამოცემულ წიგნებში დაიბეჭდება როგორც ახალი, არსად არ დაბეჭდილი ნაწარმოები, ისე ძველი, უკვე დაბეჭდილი ჟურნალ-გაზეთებში და სხვ.

წიგნი იქნება მოზრდილი ტანისა, 200 გვ., სუფთად და ლამაზად დაბეჭდილი.

**წიგნის საერთო ხელმძღვანელობა იკისრა „ფასკუნჯის“ რედაქციამ.**

პირველად დაიბეჭდება ვაჟა-ფშაველას **„ცრემლები“**, დაუბეჭდავი ლექსები და პოემები.

**წიგნები ეღირება ყველგან 25 კ. და მიეცემა მხოლოდ ხელის მომწერთ.**

ვისაც სურს წიგნის დაკვეთა უსათუოთ ხელი უნდა მოაწეროს შემდეგ ადგილებში:

ტფილისში წ.-კ. საზ. მაღაზიაში, „ნ. რეჰ“-ის წიგ. მაღაზიაში, „ალიონი“-ს წიგ. მაღაზიაში; გორში—მგალობლიშვილის და კალანდაძის წიგ. მაღ.; მიხაილოვში—აფ. ებანოიძესთან. მანუფ. მაღ.; ყვირილაში—„სორაპანი“ ივ. გაჩეჩილაძე; ჭიათურაში—პირტახია; ქუთაისში—„იმერეთის“ წიგ. მაღ. კვიცარიძე; სამტრედიაში—ე. კოხრეიძე და კოპალეიშვილი; ოზურგეთში—წიგ. მაღ. თალაკვაძე; ლანჩხუთში—წულაძე; ჩოხატაურში—ის. მეგრელიშვილი; ფოთში—იოსებ კოხრეიძე ბათუმში—სილიბისტ. ფირცხალაშვილი; თელავში—ონიკაშვილი, სიღნაღში—ივ. შალიკაშვილი.

ხელის მოწერა დაიწყება 6 იანვარს და გათავდება 23 იანვარს. შემდეგ ხელის მომწერლები აღარ მიიღებიან. იანვრის 25 დაიწყება წიგნის ბეჭვდა და დაიბეჭდება იმდენი ცალი, რამდენიც ხელის მომწერი იქნება. ხელის მომწერთ შეუძლიანთ დაბეჭდილი წიგნი მიიღონ იმ აგენტისაგან, ვისთანაც დაბეჭდილი 25 კ. კვიტანცია იყიდა.

პირველი წიგნი დაურიგდება ხელის მომწერლებს 15 თებერვალს.

**წიგნი ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

ვისაც ესურვება პირდაპირ ფულის გამოგზავნა, მან უნდა გამოგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Т—во „Сорапань“, М. Гачечиладзе. ფულის მაგიერ მარკების გამოგზავნაც შეიძლება. 0—3.

## ამერიკული ვაზის სანერგე

„კლდე-ყგურული“ ქუთაისში.

**მთელ რუსეთში განთქმული მრავალი სხვადასხვა ჯიშის ვაზები**

**1200** ჯიშის ამერიკული, ევროპიული და აზიური ღვინის და საჭმელ ყურძნის და გიბრიდები პირდაპირ დასარგველი.

**პრეის-კურანტი და ახსნა-დარიგება ეგზავნება მსურველს უფასოთ.** (3—1).

**კაბინეტი** ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალოსი მ. ზედგენიძე-ავალიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა, ყორღანოვის ქუჩა. საკუთარი სახლი, № 20, ტელ. 791.

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**ექიმი** თვალისა ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 საათ. და საღამოს 5—6 საათ., ვერა, ოლგის ქუჩა, № 34, ს. სარაჯიშვილისა.

**ექიმი** ვ. დ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პროსპექ. № 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა.

**ექიმი** ნ. მ. მელიქიშვილი

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი. ბროსეს ქ., № 11.

**ექიმი** ვ. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით—9 ს., საღამოთი 5—7 საათ. ავჭალის ქუჩა, № 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ.

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი ქუჩა № 9.

ქუთაისის ექიმები:

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ.. ფირალოვის სახლი (ქარხანა).

**ექიმი** ჯაფარიძე

შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა.

**ექიმი** ა. ი. აშიანცი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საჰოსპიტალო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 საათ. ტფილისის ქუჩა, სახლი რუხაძისა, № 20.

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე

იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 9—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ სათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. № 29 ჩარექოვისა.

**ექიმი** ვ. წერეთელი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ ბით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 12—2 ს. და საღამოთი 4—6 საათ.

**ექიმი** ვ. მ. ლორთქიფანიძე

იღებს ავადმყოფებს დილით 8—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდის. გენერალის ქუჩა. ქურთოევის სახლი № 1.

ვკისრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

## დაგირავებას და გადაგირავებას

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8 1/2—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.

**სტუდენტი** გაწვრთნილი რეპეტიტორი-

უნივერსიტეტისა ხელმისაწვდენ ფასად ამზადებს და ასწავლის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის.

იკითხეთ რედაქცია „დროებაში“.

## ტფილისი, 19 იანვარი.

ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფ ერისათვის აუცილებელი საჭიროა ეროვნული მიმართულება, რადგანაც მხოლოდ ამნაირად შეგვიძლია მივაღწიოთ ეროვნულ თანასწორობას სახელმწიფოში.

ეროვნული მიმართულება მოითხოვს დამოუკიდებელ ეროვნულ იდეალების წამოყენებას, ამ იდეალების განხორციელებაშიც საჭიროა სრული დამოუკიდებლობა. სწორედ ეროვნულ ბრძოლის საქმეში შეუძლებელია სხვის ნებაზე სიარული და სხვისი ფეხის ხმის აყოლა სწორედ აქ არის საზარალო და შეუწყნარებელი.

ჩვენ კი სწორედ სხვის ნებაზე სიარულს ვარჩევთ, და სხვისი ფეხის ხმის აყოლით გვინდა გავირიგოთ ის საქმე, რომელიც ჩვენ განსაკუთრებით გვეხება და სხვებს კი სრულებით არ აწუხებს, „სხვების“ სამოქმედო პროგრამაში არ შედის.

ამ მხრივ უდიდესი დანაშაული მიუძღვის ქართველ ერის წინაშე ჩვენებურ ს.-დემოკრატებს. მათ და მხოლოდ მათ ხალხის ფართო მასსები შეაჩვიეს პოლიტიკურ აზროვნობაში მონობას და ამ მასსების პოლიტიკურსა და კულტურულ მისწრაფებას ის მიმართულება მისცეს, რომელიც ყოველთვის ქართველ თავად-აზნაურობის დამახასიათებელი ყოფილა.

როგორც თავად-აზნაურობა მუდამ ჩრდილოეთისაკენ გაიხედებოდა და იქედან ელოდა შველას, ისე ჩვენებურმა ს.-დემოკრატებმა ჩრდილოეთისაკენ მიუბრუნეს თავი ხალხის ფართო მასსებს და ჩრდილოეთიდან მოსულ ლოზუნგებს სავალდებულო კანონებად აცხადებდენ. როგორც თავად-აზნაურობა ჩრდილოეთიდან მოელოდა წყალობას და თავის საკუთარ, განსაკუთრებულ საჭიროებათა ხსენებას ერიდებოდა, რომ ამით არ განრისხებულიყვენ იქ, ჩრდილოეთში, ისე ჩვენებური ს.-დემოკრატებიც დღესაც ერიდებიან ქართველ ერის ეროვნულ იდეალების წამოყენებას,—სრულიად რუსეთის ს.-დემოკრატიული პარტია შემოგვიწყრებაო.

წინეთ თავად-აზნაურები გვიკლავდენ გულში დამოუკიდებელ მოქმედების სურვილს და სხვების კუდად გვხდიდენ, ახლა ეს საქმე იკისრეს ს.-დემოკრატებმა და ისევე სხვის კუდობას გვარგებენ. მართალია კუდს არავინ გვიძახის, პირიქით პაწა გურიამ თავის თავს რევოლუციის მებაირახტრეც უწოდა, მაგრამ ნამდვილად კუდობას ვეწეოდით, რადგანაც მონურად, განუსინჯავად ვიღებდით ჩრდილოეთიდან მოსულ პროგრამებს და იქიდანვე გაგონილ ლოზუნგებს ვემორჩილებოდით. კუდობას ვეწეოდით, რადგანაც ვივიწყებდით საკუთარ საჭიროებას და იქით ვიხედებოდით, საითკენაც წასვლას გვიბრძანებდენ ჩრდილოეთიდან.

იტყვიან—არაო? იტყვიან, რომ ჩვენი ს. დემოკრატია ადგილობრივ საჭიროებათა შესაფერისად მოქმედობდა? იტყვიან, რომ ჩვენ, ქართველებმა, შემდეგშიაც არ უნდა ვისურვოთ ან არ უნდა გავბედოთ ადგილობრივ საჭიროებათა ხსენება?

გამოჩნდება ვინმე, რომ ამ ადგილობრივ, განსაკუთრებულ საჭიროებათა არსებობის უარის ყოფას გაბედავს?

ჩვენი გლეხობა და რუსი გლეხობა, განა ერთსა და იმავე ტაფაში იწვის? რუსეთში მიწის მფლობელობა სხვანაირია, და ხალხიც მიწას სხვა თვალით უყურებს, ვიდრე ჩვენში, ამიტომ ერთი და იგივე აგრარული პროგრამა ჩვენთვის და რუსებისათვის არ გამოდგება.

ამას გარდა რუსის გლეხობა ადვილად სტოვებს თავის მიწა-წყალს და სხვა უკეთეს ადგილებზე გადადის. ეს „უკეთესი“ ადგილები მას ეგულება ციმბირში, თურქესტანში და კავკაზიაში. მთავრობა ხელს უწყობს რუს გლეხობის ასეთ გადასახლებას და რუსი საზოგადოებაც მას საჭიროდ სთვლის. უკიდურესი პარტიებიც ამ გადასახლებას არ ებრძვიან. ამნაირად რუსეთის განაპირა ადგილებს ცენტრიდან ტალღა ტალღაზე ხვდება, რუსობა ახალ ადგილებს იჭერს...

ჩვენში მიწის დიდი სივიწროვეა, ადგილობრივ გლეხს ახალი ადგილები სჭირია, ეს ადგილები ხაზინის ხელშია და ხაზინა კი ცდილობს თავისუფალი მიწები რუს გლეხობას გადასცეს. რუსი გლეხობაც სარგებლობს ხაზინის ასეთ სურვილით და იმ მიწებს იჭერს, რომელიც ჩვენთვის, ქართველებისთვის, ან სხვა ადგილობრივ ერებისათვის არის საჭირო.

ამნაირად ჩვენ ხელიდგან გვეცლება ის, რაც ჩვენ უნდა გვრგებოდა, სხვები იღებენ იმას, რაც ჩვენი იყო...

არის აქ ინტერესების სხვა და სხვაობა თუ არა? საჭიროა აქ ჩვენი, განსაკუთრებული საჭიროების დასახელება, თუ არა? სხვებს გადასახლების პოლიტიკა ახალ ადგილებს აძლევს, ჩვენ, ქართველებს კი ეს პოლიტიკა საკუთარ მიწას ხელიდან გვაცლის. სხვები ჩვენკენ სახლდებიან და აქ „უკეთეს“ ადგილებს ეძებენ, ჩვენ გვინდა, რომ ეს „უკეთესი“ ადგილები ადგილობრივ მცხოვრებლებს მიეცეს, რადგანაც ადგილობრივ ისეთივე მიწის სივიწროვეა, როგორიც რუსეთის შუაგულ გუბერნიებში.

იტყვიან, გადასახლების პოლიტიკაში ხალხი დამნაშავე არ არისო,—ამ პოლიტიკას აწარმოებს მთავრობა, მას ითხოვენ ბურჟუა-კაპიტალისტები და თავად-აზნაურობაო. ვინ აწარმოებს ამ პოლიტიკას, ამასაც, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, განა, უფრო საყურადღებო არ არის, ვინ სარგებლობს ამ პოლიტიკით.

ორი ვინმე რომ იყოს, ერთმა საათი ჯიბიდან ამომაცალოს და თავის ამხანაგს შესანახავად გადასცეს, განა, ორივე ერთნაირი ქურდი არ იქნება? მეზობელმა ჩემი მიწა რომ დაისაკუთროს და ცოლს დაუმტკიცოს, ქმარსაც და ცოლსაც, განა, ორივეს ჩემი მიწის წამრთმევის სახელი არ დაერქმევა.

ამნაირადვე როდესაც მმართველი წრეები აქ კავკაზიაში თავისუფალ მიწებს ხელიდან აცლიან ადგილობრივ მცხოვრებლებს და რუსეთიდან გადმოსახლებულებს აძლევენ., ჩვენთვის ამ საქმეში ეს მმართველი წრეები და ეს გლეხობა ორივე ერთია, ორივე თანასწორად პასუხისმგებელია ხსენებულ პოლიტიკაში.

ამას ჩვენებური ს.-დემოკრატები ხალხს არ ეუბნებიან, პირიქით, თვალს უხვევენ მას და მხოლოდ საერთო მიზნების დასახელებით კმაყოფილდებიან. ეს საერთო მიზნები ჩვენსა და რუს გლეხობასაც აქვს, მაგრამ მათ გულისათვის რად დავივიწყებთ იმ სხვა და სხვაობას, რომელიც რუს გლეხობისაგან გვაშორებს და რომელიც ამ უკანასკნელს ჩვენი მიწების მუშტრად ხდის...

იტყვიან, გადმოსახლების პოლიტიკის წინააღმდეგ პროგრამაში ცალკე მუხლად სწერიაო, მაგრამ პროგრამის მუხლს რა მნიშვნელობა აქვს, თუ იგი ტაქტიკაში გადატანილი არ არის, და ს.-დემოკრატიულ ტაქტიკაში კი რუსების კავკაზიაში გადმოსახლების შესახებ ვერაფერს ვხედავთ, ჩვენებური ს.-დემოკრატია არასოდეს არ ებრძოდა არც გადმოსახლების პოლიტიკას და არც თვით კავკაზიაში გადმოსახლებულებს.

ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ ჩვენებური ს.-დემოკრატია ქართველ გლეხობის ინტერესებს გულწრფელად არ იცავს.

როგორც გლეხობის, ისე ქართველი ერის სხვა ნაწილების ინტერესები ყველაფერში არ ეთანხმება რუსების ინტერესებს. თვით მუშებშიაც ინტერესების სხვა და სხვაობა უფრო არის, ვიდრე ამ ინტერესების ერთობა.

განა ცოტაა იმის მაგალითი, რომ ქართველ მუშას სამსახურში არ იღებენ იმიტომ, რომ იგი ქართველია? აქაც იტყვიან, აბა სხვა ტომის მუშები რა დამნაშავენი არიანო, მაგრამ ჩვენ აქ ისევ

გავიმეორებთ იმასვე, რაც გლეხობის შესახებ ვთქვით: ჩემი ადგილის დამჭერი ისეთივე დამნაშავეა, როგორც ის ადამიანი, რომელიც ამ ადგილს სხვას აძლევს.

სადმე ქარხანაში, სტამბაში ან სახელოსნოში პატრონი მუშებს უსამართლოდ თუ ითხოვს, დანარჩენი მუშები ამ ადგილს არ ეკარებიან და ამით აიძულებენ პატრონს უსამართლოდ დათხოვნილის უკანვე მიღებას. ამ ქარხანაში დათხოვნილის ადგილას შემოსულ ახალ მუშას მოღალატეს და ხულიგანს უწოდებენ, და ქართველების ადგილას შემოსული უცხო ტომელი მუშები, ქართველ ერის მიწებზე გადმოსახლებული უცხო ტომელი გლეხები კი ჩვენთანვე მოდიან, გვერდში გვიდგებიან და „ყველა ქვეყნის პროლეტარებო“ შეერთდითო გაიძახიან. ეს შეერთება, ეს ძმობა-ერთობა, ეს ეროვნულ ბრძოლის დახშობა მათთვის ახლად შეძენილ ადგილების, ქართველ მუშების მაგიერ ქარხნებსა და ადგილებზე მიღებას უდრის, ჩვენ კი, ქართველებს, ამ ძმობით სამუდამოდ გვეკარგება ის, რაც სამართალით ჩვენი უნდა იყოს.

ჩვენის ფიქრით ასეთი ძმობა ძმობა არ არის, ასეთი ძმობა ძმობა კი არა, ჩვენი მოტყუილებაა, და ამ მოტყუილებას ხელს უწყობს ჩვენში ს.-დემოკრატიული პარტიაც.

ჩვენ თუ მართალი არა ვართ, გვიჩვენონ, სად და როდის ებრძოდა ჩვენებური ს.-დემოკრატია იმ უცხო ტომელ მუშებს და გლეხებს, რომლებიც ქართველებისაგან უსამართლოდ წართმეულ სამსახურსა და ადგილებს იღებდენ...

ამ ბრძოლის მაგალითს ვერ გვიჩვენებენ...

პირიქით ჩვენი უცხო ტომელებთან უსაზღვრო ძმობა-ერთობა იმით დასრულდა, რომ ქართველები ახლა წინანდელზე უფრო იდევნებიან და უცხო ტომელებიც ამ დევნით წინანდელზე უფრო სარგებლობენ...

ასეთია სხვისი ფეხის ხმის აყოლის შედეგი, ასეთია ჩვენი ცენტრალისტურ პოლიტიკის ნაყოფი. დამოუკიდებელ ეროვნულ იდეალებს მოკლებულნი, დამოუკიდებლად მოქმედებას გადაჩვეულნი, ჩვენ აქაც ვერ წამოვაყენეთ ჩვენი დამოუკიდებელი მოთხოვნა, რომ უცხო ტომელმა გლეხებმა და მუშებმა თავის სასარგებლოდ არ გამოიყენონ მმართველ წრეების ახლანდელი პოლიტიკა და ქართველ მუშებსა და გლეხებს პირიდან ლუკმა არ გამოჰგლიჯონ.

---

ჩვენში მომქმედი პოლიტიკური პარტიები ყოველთვის გაურბიან ამა თუ იმ კითხვის პრაქტიკულად განხილვას. რაც მათ პროგამაში არ არის მოთავსებული, მათთვის ცოტაოდენ ყურადღების ღირსიც არ არის.

ასეთია საქართველოში მიწის საკითხი. წინა ნომერში ჩვენ ამ საკითხის შესახებ ჩვენი აზრი გამოვთქვით და ჩვენ მოწინააღმდეგეებსაც მოვთხოვეთ გარკვეული პასუხი,—ეს პასუხი პროგრამებიდგან არ ამოიღება და ამიტომ ისინი სდუმან,—ხმას აღარ იღებენ...

ასეთივეა ეროვნული სხვა და სხვაობის საკითხი, რომელიც ჩვენის ფიქრით აუცილებლად ხდის ეროვნულ ბრძოლას იქ, სადაც ერთი ერი სხვა ეროვნებაზე დროებით ბატონობას ახერხებს. ეს ეროვნული ბრძოლა ჩვენის აზრით აუცილებელია, როგორც ხალხის შეძლებულ ნაწილში, ისე მის ფართო მასსებშიაც და თვით მუშათა კლასსიც თავისუფალი არ არის თავისივე მოძმესაგან ეროვნულ დაჩაგვრას. ეს მუშისაგან, შეგნებულ მუშისაგან მეორე მუშის შეუგნებლად დაჩაგვრა პარტიულ პროგრამებში არ წაგვიკითხავს და ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ პარტიები ამ კითხვასაც ჩაიჩუმებენ...

ასეთივეა ჩვენი დამოკიდებულება სახელმწიფო მოხელეებთან და უმაღლეს მთავრობასთანაც. პარტიულ პროგრამებში არ სწერია, რომ ზოგან და ხანდახან შეიძლება მთავრობასთან დაახლოვება ჩვენისთანა პატარა ერისათვის უფრო სასარგებლო იყოს, ვიდრე სარევოლუციო ელემენტებთან კავშირი, რომ ამა თუ იმ სახელმწიფო მოხელესი მომხრობამ შეიძლება ერი დიდ უბედურებას გადაარჩინოს. პროგრამაში პირიქით მოხსენებულია, რომ ერის ცხოვრებას საზოგადო პირობები ჰქმნის, რომ ცალკე პირს ამ ცხოვრების შეცლა არ შეუძლია, რომ ყოველ სიავის მთავარ წყაროს უნდა მივაგნოთ, რომ ასეთი მთავარი წყარო მთავრობა და სახელმწიფოს წესწყობილებაა, რომ ამიტომ მთავრობას უნდა ვებრძოლოთ და ამ წესწყობილების შესაცვლელად არავითარი მსხვერპლი არ დავიშუროთ, რომ განახლებულ სახელმწიფოში ყველა ერი და ქართველებიც მათ შორის სრულ ბედნიერებას ეღირსებიან,—თვითგამორკვევის გზას დაადგებიან...

ამ ლათაიებით ნანინას ეუბნებიან ხალხის ეროვნულ სურვილებს და ქართველებს რუს ეროვნებისთვის მებრძოლად ხდიან...

წინეთ, სანამ რევოლუციის და ხსენებულ პარტიების ხსენებაც არ იყო, ეს ნანინა სხვებისგან გვესმოდა. იმ დროს ქართველი გულწრფელად ემსახურებოდა რუსეთის გაძლიერებას, სისხლს ღვრიდა ომის ველზე, თავგანწირულად ებრძოდა სახელმწიფოს მტრებს, საკუთარ ქონებასაც აღარ ზოგავდა სახელმწიფოსთვის. იმ დროს სახელმწიფო და სამოქალაქო სამსახურში ქართველი საუკეთესო მხედრად და მოხელედ ითვლებოდა, ერთგულ და მცოდნე ადამიანად...

ნაყოფი?.. ნაყოფი - რუსეთის გაძლიერება, მასთან ერთად რუს ეროვნების გაძლიერება და დღეს ეს ეროვნება სრულებით ივიწყებს ქართველების ღვაწლს, თავის გაძლიერებით სარგებლობს, მთელ რუსეთს რუს სახელმწიფოდ აცხადებს, ქართველების ეროვნულ მისწრაფებას, ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრების ეროვნულ ნიადაგზე აშენების სურვილს სეპარატისტობად სთვლის და ამ სურვილისათვის ქართველების დასჯასაც არ ერიდება.

ამნაირად, დამოუკიდებელ ეროვნულ იდეალებს მოკლებული ქართველი ერი სხვებისათვის შრომობდა,—მის შრომის ნაყოფით სხვამ ისარგებლა...

დადგა „განახლების“ ხანა... კიდით კიდემდის შეიძრა რუსეთი, ყველას რაღაც წარმტაცმა იმედმა უელვა გულში, ყველას თვალწინ ახალ, უკეთესად მოწყობილ ცხოვრების სურათი წარმოუდგა... რუსეთის შუა გულში და მის განაპირა ადგილებშიაც ერთბაშად იფეთქა უკმაყოფილებამ, რომელიც თან და თან ძლიერდებოდა, ხორცს ისხამდა და ბოლოს ნამდვილ სარევოლუციო ტალღად მოედო მთელ სახელმწიფოს.

ამ ტალღამ ჩვენც წარგვიტაცა. რუსეთიდან მოსულ ამბებს დავენდვეთ, ვფიქრობდით, რომ იქ ხალხი მართლაც ეცდება წამოყენებულ იდეალების განხორციელებას, რომ განახლების სურვილმა რუს ერის ფართო მასსებიც ფეხზე წამოაყენა... წამოდგა ფეხზე ქართველი ერიც, მაგრამ ამ ფეხზე წამოდგომის შედეგი ჩვენთვის სავალალო გამოდგა. მართალია რეპრესიები ყველგან იყო, რეაქციამ ყველგან იძია შური, მაგრამ მისი შურის ძიება განაპირა ადგილებში უფრო ძლიერი იყო. ეს შურის ძიება განსაკუთრებულის სიმძიმით უნდა დასწოლოდა ქართველებს და მხოლოდ ახლანდელ ნამესტნიკის ვორონცოვ-დაშკოვის მადლიერნი უნდა ვიყოთ, რომ ეს სიმძიმე ცოტაოდნათ მაინც თავიდან აგვცდა,—სწორედ ამიტომ რუსეთში კავკაზიის ახლანდელ ნამესტნიკს უმოქმედოს ეძახიან.

ამ რეაქციის გარეშე რევოლუციამ სახელმწიფო სათათბირო დასტოვა, მაგრამ ეს სათათბიროც ჩვენთვის, ქართველებისთვის დაკარგულია: ჯერ ერთი ის, რომ ამ სათათბიროში ქართველებს თავის რაოდენობის შესაფერი დეპუტატების რიცხვი არ ჰყავთ, მეორე ის, რომ იქ გაგზავნილი დეპუტატები ჩვენ არაფერში გვარგია.

დეპუტატების რიცხვის სიმცირეში დამნაშავეა თვით ის ეროვნება, რომელიც ამ ჩვენი შევიწროვებით სარგებლობს. სათათბიროს შექმნაში, სახელმწიფო წესწყობილების შეცვლაში ჩვენც, ქართველებსაც, გვიდევს წილი, ერთგულად და თავდავიწყებით ვემსახურებოდით ამ ცვლილების მაღალ იდეას და ბოლოს, როდესაც ცვლილება განხორციელდა, რიყეზე დავრჩით ისევე, როგორც წინეთ, რევოლუციამდის, ვრჩებოდით რიყეზე და უნაყოფოდ, ჩვენთვის უსარგებლოთ ვემსახურებოდით რუსეთის გაძლიერებას.

და რაკი ჩვენი დამოუკიდებელი ეროვნული იდეალები არ გვქონდა, ამიტომ ის ორიოდე დეპუტატიც, რომელიც გავგზავნეთ სათათბიროში, ჩვენს ადგილობრივ საჭიროებებს ივიწყებს და სრულიად რუსეთის სახელით ლაპარაკობს... როგორც წინეთ სახელმწიფო სამსახურში მყოფი ქართველი ჩინოვნიკობა ივიწყებდა ქართველ ერს და მხოლოდ სახელმწიფოს ემსახურებოდა, ისე ახლაც ჩვენი დეპუტატები ივიწყებენ ქართველებს და სრულიად რუსეთის სოციალისტურ იდეებზე ფიქრს უნდებიან.

იქაც და აქაც დამოუკიდებელ პოლიტიკურ იდეალების უქონლობა, ქართველებში დამოუკიდებელ პოლიტიკურ აზროვნების და დამოუკიდებელ მოქმედების უნარის მოსპობა საშუალებას არ გვაძლევს ვისარგებლოთ იმ ცოტაოდენის უფლებებითაც, რომელსაც ჩვენი შრომით და სისხლით გაშლილ სუფრიდან წყალობასავით გადმოგვიგდებენ.

ასეთსავე მდგომარეობაში ვიქმნებით ყოველთვის, სანამ ძირითად ცვლილებას არ შემოვიტანთ ჩვენს აზროვნებასა და მოქმედებაში.

როდესაც შორიდან რამე ახალი ლოზუნგი გვესმის, ეს ლოზუნგი ჩვენ ადგილობრივ საჭიროებას უნდა შევუფარდოთ, როდესაც შორიდან რამე საქმის შესასრულებლად გვიწვევენ, უნდა დავხედოთ, ეს საქმე ჩვენ ადგილობრივ საჭიროებას მოუხდება თუ არა... ადგილობრივი საჭიროება ის საფუძველია, რომელზედაც უნდა აშენდეს მთელ სახელმწიფოს კეთილდღეობა. ჩვენი ადგილობრივი საჭიროება უნდა შეუთანხმდეს სხვა ერთა ადგილობრივ, ეროვნულ საჭიროებას. იქ სადაც ამ საჭიროებას ერთი და იგივე წამალი სჭირია, სხვა და სხვა ერის შეერთებული მოქმედება ადვილი მოსაწყობია, იქ კი, სადაც ერთი ერის საჭიროება მეორე ერის საჭიროებას წინ ეღობება,—შეთანხმება და დათმობა არის საჭირო, შეთანხმება აშკარა, დათმობა შეგნებული. ზოგან ქართველები თუ დაუთმობენ რუსებს, ან სომხებს, ან პოლონელებს, სხვა შემთხვევაში, სამაგიეროდ, რუსებმა უნდა დაუთმონ ქართველებს.

ანდაზა ამბობს „ზოგი მგლისკენ, ზოგი თხისაკენ“. ამისი არ იყოს, ზოგი სხვებისკენ და ზოგი ქართველებისკენაც უნდა ჩამოითალოს, თორემ ლუკმა სულ მუდამ სხვებისაკენ რომ ვთალოთ, ჩვენ, ქართველები, ხომ სამუდამოდ ხელ ცალიერები დავრჩებით.

შეთანხმება შესაძლებელია იქ, სადაც ეროვნულ იდეალების შეგნება არის და სადაც პოლიტიკურ მოღვაწეს და თვით ერსაც არ ეშინია თამამად დაასახელოს თავისი ეროვნული იდეალები.

ჩვენებური ს.-დემოკრატები კი ეროვნულ იდეალების უბრალო ხსენებასაც გაურბიან... ესეც ქვეყნის სამსახურია...

---

## ყიდვა თუ ძალით დასაკუთრება?

წარსულ ნომერში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მიწა ახლანდელ მესაკუთრეებს უნდა მოშორდეს და მის დამმუშავებლების ხელში გადვიდეს. ამის განსახორციელებლად საშვალებაც დავასახელეთ,—გამოყიდვა.

სავალდებულო გამოყიდვა განსაკუთრებულ კანონებს ითხოვს, კანონმდებლობა კი ჩვენ ხელთ არ არის,—ამიტომ საჭიროდ ვსცანით მიწის ნებაყოფლობით გამოყიდვას დავადგეთ.

მაგრამ ნებაყოფლობითი გამოყიდვა, ახლანდელ მემამულეებთან მორიგება და ფულის გადახდა მიწის დამმუშავებლებს, სოფლის გლეხობას შეეძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენში მომქმედი პოლიტიკური პარტიები ხალხს დაარწმუნებენ, რომ მიწის მუქთად დისაკუთრებაზე ოცნება მართლაც ოცნება არის და რომ ამ ოცნებამ და მომავალ მუქთობის მოლოდინმა სოფლელი მიწის ყიდვაში არ უნდა შეაჩეროს...

ჩვენ ვწერდით, რომ საჭიროა „ჩვენში მომქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა ამაზე ხმა ამოიღონ, საჭიროა ქართულ გაზეთების ფურცლებზე გამოცხადდეს მათი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს გლეხი—**იყიდოს** მამული თუ მუქთად მის **დასაკუთრებას** უცადოს. მაგრამ,—ვუმატებდით ჩვენ—მათგან იმდენ გამბედაობას და გულახდილობას არ ველით, რომ. აშკარათ და გარკვევით გაგვაგებინონ ჩვენ და გააგებინონ ხალხს თავიანთი შეხედულება“.

მოლოდინი არ გაგვიცრუვდა. ჩვენ შეკითხვაზე „დროება“ სდუმს, ის „დროება“, რომელიც ქართველების ეროვნულ ინტერესების დაცვას კისრულობს და რომელშიაც ვერ გაგვიგია, სოციალიზმი აქვს ეროვნებისთვის აღებული, თუ ეროვნება სოციალიზმისთვის. გაზეთი სდუმს, თითქო მას ამ საკითხში ჯერ არ ჰქონდეს გამორკვეული თავისი შეხედულება, თითქო ეს საკითხიც მნიშვნელოვანი და მის ყურადღების ღირსი არ იყოს.

სდუმს იმიტომ, რომ წინააღმდეგობაში გახვეულია: ხედავს, რომ ძალით დასაკუთრებას ქართველებისთვის ხეირი არ მოაქვს, მაგრამ ვერ ბედავს და ამას აშკარად ვერ ამბობს, რადგანაც ყიდვა თუ გამოაცხადა საჭიროდ, ამით თავისი წარსულიც უნდა უარჰყოს და თავის მოწინააღმდეგე ს.-დემოკრატების საყვედურშიაც ჩავარდეს.

სამაგიეროდ არა სდუმს გაზეთი „ჩვენი ხმა“, ის გაზეთი, რომელსაც გადაჭრილი პასუხი ხსენებულ შეკითხვაზე უფრო მოეთხოვება, რადგანაც სწორედ „ჩვენი გზის“—თანა გაზეთების მომხრეებმა ხალხს მიწის ძალად დასაკუთრება ურჩიეს.

გაზეთი ჩვენ შეკითხვაზე პასუხს იძლევა და მედიდურად ამბობს: „მხოლოდ გაზეთ ივერიას“ ვერ გაუგონია ის აზრი, რომელიც მთელ ქვეყანას ხმა მაღლა მეტად „აშკარად და გარკვევით, „გადაჭრით“ „ეუწყა ჩვენი ხმის“ ერთ—ერთ წინაპარ „ქართულ“ გაზეთის ფურცლებიდან და რომელიც სწორედ მიწების ყიდვის საგანს შეეხებოდა“.

ჩვენ არ ვიცით, რომელ თავის წინაპარზე გვითითებს გაზეთი და არა გვგონია მის მკითხველებში ახსოვდეს ვისმე ის, რაც „ჩვენი გზის“ ერთ-ერთმა წინაპარმა გაზეთმა ოდესმე აუწყა ქვეყანას...

ამნაირად გაზეთი სიტყვას ბანზე აგდებს და ცდილობს გარკვეულ პასუხს გვერდი აუხვიოს. მისი აზრი კი მაინც სჩანს, ამ გაზეთს ჰგონია რომ მესაკუთრეთაგან მიწების გამოყიდვაზე ლაპარაკი—თავად-აზნაურობის საქმის მოჩარხვაა და, რაკი თვითონ ამ საქმის მტერია ამიტომ, ალბად, გამოყიდვის წინააღმდეგი უნდა იყოს.

გაზეთი აცხადებს, რომ **დღეს, როდესაც რევოლუციის ჭაჭანება** აღარ ისმის და, **მაშასადამე**, გლეხების მიერ მიწების ძალათ დასაკუთრებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, რომელი გიჟი ურჩევს გლეხს მიწა, ძალით მოიტაცე და არამც და არამც არ იყიდოთ

ე. ი. დღეს რევოლუციის ჭაჭანება რომ იყოს, „ჩვენი ხმა“ გლეხს მიწის ძალით მოტაცებას ურჩევდა? მაგრამ დღეს ჭაჭანება თუ არ არის რევოლუციის, შემდეგისათვის ხომ მაინც აქვს „ჩვენი ხმის“ მომხრეებს მისი იმედი და მაშასადამე მაშინ ხომ მიწის ძალით მოტაცება იქმნება შესაძლო ე. ი. სოფლის გლეხს მუქთაობის იმედი მაინც ურჩება გულში და ამ იმედით დღეს მიწას რომელი სულელი იყიდის? ან ეგება რევოლუცია ჯერ კიდევ დიდხანს არ იქმნება და მისი იმედით გაჩერება არ ვარგა? თქვით, ნუ გეშინიათ, გააგებინეთ ხალხს, რა გზას დაადგეს, ურჩიეთ ამა თუ იმ გზაზე დადგომა,—თქვენ ხომ აცხადებთ, ხალხის ერთად ერთი მეთაურები ვართო, ხალხის ინტერესებს მხოლოდ ჩვენ ვიცავთო... გაჩუმებით ან სიტყვის ბანზე აგდებით უნდა ხალხის მეთაურობა?...

**კ. თუმანიშვილი.**

---

## გარიყულების ფართხალი.

სწორედ საყურადღებოა ის დემაგოგობა, რომელსაც ჩვენებური ს.-დემოკრატები დღესაც არ იშლიან და რომლის საშუალებით გამარჯვებას ელიან იქ, სადაც ცხოვრების ჩარხი მათ წინააღმდეგ ტრიალებს. ამ დემაგოგობით აიხსნება ის უშვერი და ყოველ ზრდილობიანობას მოკლებული სიტყვები, რომლებიც მე მომითავაზა ბ. ყარიბმა:

უსინიდისო... უპატიოსნო... იუდა, რომელიც ემბორება საქართველოს მხოლოდ იმისთვის, რომ გაჰყიდოს იგი... და სხვა ამისთანა კომპლიმენტებით სავსეა ბ. ყარიბის წერილი. მე ეს არ მიკვირს. თუ მართალია, რომ ვილაც ტეტიამ ტეტიურად გაიგო მარქსის მოძღვრება და ჰთხლიში ტყვია შიგ შუბლში ილია ჭავჭავაძეს, აბა ჩემისთანა პატარა კაცს იუდას სახელიც არ ეკადრება?!

რა მოხდა ისეთი. რომ აგრე გამოილაშქრა ბ. ყარიბმა? რითი აიხსნება ეს გადაჭარბებული ლანძღვა-გინება? ნუ თუ მართლა ბ. ყარიბი გახდა ისეთი პატრიოტი, რომ ეტრფის საქართველოს, მის ძარღვის ცემას ყურს უგდებს სულგანაბული, და, როგორც ნამდვილი. ფაგოციტი ეროვნული ორგანიზმისა, მიჰქრის საბრძოლველად, ეჩხუბება ყოველ შხამს, ყოველ მომწამლავ ბაცილას, რომელიც ანთებით ან რაიმე ზიანით ემუქრება ამ ორგანიზმს?! აბა თქვენგან არ მიკვირს! სად ბ. ყარიბი, სად ეროვნული ორგანიზმი! რომელი ეროვნული ორგანიზმის დაცვაზე შეიძლება აქ ლაპარაკი, როდესაც თვითონ ბ. ყარიბი, როგორც თავისებური სოციალ-დემოკრატი, თვითონ წარმოადგენს იმ შხამს, იმ მომწამლავ ბაცილას, რომელიც ჰღრღნის, ანგრევს და აოხრებს ნაციონალურ შენობას, ნაციონალურ ნაქსოვს... რა არის ჩვენთვის მის მიერ უმთავრეს ლოზუნგად აღიარებული „კლასთა ბრძოლა“, თუ არა დაწვა და აოხრება ეროვნულ ერთობისა? ამ აზრის ღაღადება ისეთ დაბეჩავებულ, მტრებისაგან გაძარცვულ და აოხრებულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, უეჭველი საბუთია ჩვენი ზოგიერთი პუბლიცისტების სრული ტეტიობისა...

მაგრამ დრო გადის. ის კორიანტელი, რომელიც დააყენეს საქართველოში ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა, თანდათან იფანტება, თანდათან იწმინდება ლაჟვარდი სამშობლო კამარისა, მოტყუებული ხალხი გონს მოდის და უკვირდება თავის ცხოვრებას. ამ ცვლილებამ რა თქმა უნდა ზოგი განვითარებული სოციალ-დემოკრატი ჩააფიქრა, იძულებულჰყო უფრო კრიტიკულად აეწონ-დაეწონა მარქსის თეორია და ნათლად გაეთვალისწინებინა, თუ რამდენად ეთანხმება ეს მოძღვრება საქართველოს წარსულს, მის ეხლანდელ მდგომარეობას და მომავალ განახლებას. აგრე მოიქცა ბ. გომართელი. ამას ამტკიცებს მისი პატიოსანი და შინარსიანი სიტყვა, წარმოთქმული ქართულ თეატრის გახსნის დღეს. მაგრამ ყველა ს.-დემოკრატი გომართელი არ არის. ყველას არა აქვს მოქალაქობრივი გაბედულება, რომ პირდაპირ აღიაროს შეცდომა შეცდომად. უმეტესობა შეუგნებლად იმეორებს ერთხელვე გაგონილ სიტყვებს და კრიტიკულ მსჯელობას ვერ ბედავს.

აიღეთ ეხლანდელი მეთაურები სოციალ-დემოკრატიული პარტიისა.—რასა სწერენ, რასა ჩმახავენ? როცა ერთ ადგილობრივ გაზეთში მათ დაუნგრიეს უკანასკნელი თავშესაფარი, თქვენა გგონიათ წარმოსთქვეს რაიმე პრინციპიალური აზრი? რა ბრძანებაა?! თქვენა თავადიშვილები ხართო და ჩუმჩუმად ფეოდალიზმის დაცვა და გამეფება გინდათო! აი რა საცოდაობამდე მივიდენ ჩვენი მოწინააღმდეგენი.

მე ფეოდალური სამფლობელო არა მაქვს, თავადიშვილობა კი ვინ მომაშავა. ამ მხრივ ჩემი მდგომარეობა მიუდგომელია. მაგრამ ბ. ყარიბის გამჭრიახმა გონებამ მიპოვა სუსტი ადგილი და მომიარა მეორე მხრიდან: „თქვენა იუდა ხართო!“—რათა?—თქვენ გაიძახით „ქართველი, საქართველო, მამულის სიყვარული და სხვა, და როცა საქმე საქმეზე მიდგება ქვეყანა და მისი საქმეც ფეხებზე გკიდიათო“. ამ სიტყვებიდან აშკარაა, რომ მე ვითომდა მქონია რაღაცა „ქვეყნის საქმე“ ე. ი. ისეთი საქმე, რომელიც საქართველოს შეეხება, და დიდი ღალატობა გამიწევია სამშობლოსათვის.

ამისთანა საქმედ მიაჩნია ბ. ყარიბს ლ. ყიფიანის საქმე. მისი აზრით, ლ. ყიფიანი—საქართველოა, და საქართველო—ლ. ყიფიანია (აბა რას ბრძანებთ, ბ. ყარიბო: მაშინ ხომ მთელი საქართველო ხეჩატუროვის სამფლობელო გახდებოდა?.) თუ ლ. ყიფიანის წინააღმდეგ გამოვედი და სასამართლოში დავამტკიცე, რომ იგი—ცილისმწამებელია, ეს თურმე დიდი დანაშაულობაა საქართველოს წინაშე!

თვით ყიფიანის საქმეზე არ მინდა აქ ვილაპარაკო,—იმას საზოგადოებრივი ინტერესი არა აქვს.

ბ. ყარიბის აზრით, სასამართლოში ლ. ყიფიანი კი არ იყო მიცემული, და ერთად ერთი გასარჩევი საკითხი—მისმიერ ცოლის დაწამება კი არ ყოფილა, არა! თურმე ილია კარგარეთლის დაჭრის საქმე ყოფილა გასარჩევი! აბა რა უნდა ველაპარაკო ისეთ კაცს, რომელსაც, თურმე, არაფერი გაეგება არც კანონისა, არც სასამართლო წესისა! რა შუაშია აქ კარგარეთელის საქმე? თუ ამ საქმეში აკიმოვს დანაშაული მიუძღვის, უნდა აღძრათ იმის წინააღმდეგ საქმე, როგორც რიგია, და არა მონურად და ჭორიკანულად ილაპარაკოთ მაზე სრულებით

სხვა საქმის გარჩევის დროს. კარგარეთელის საქმე შემზარავი და შემაძრწუნებელია, ამის წინააღმდეგ მე არამც თუ არასოდეს არაფერი არ მითქვამს, პირიქით ყოველთვის მზად ვიყავი შეძლებისა დაგვარად გამეწია კარგარეთლისათვის ძმური სამსახური სიტყვით და საქმით. ეს ჩემი განწყობილება თვითონ კარგარეთელმა ძალიან კარგად იცის და თ. ვენი ინსინუაცია ჩვენ მეგობრობის ჩასაშლელად არ გამოდგება.

არ ჰღირს მეტი სიტყვის გაჭიანურება. ბ. ყარიბი ისე უგნური არ არის, რომ არ გაეგებოდეს, თუ რა წინააღმდეგობაა მოთავსებული იმის წერილში. მან ძალიან კარგად იცის, რომ საქართველო სულ სხვაა, ლ. ყიფიანი სულ სხვა; ძალიან კარგად იცის, რომ ი. კარგარეთლის დაჭრა სულ სხვა საქმეა, ლ. ყიფიანის მიერ ცილის დაწამება სულ სხვა. ძალიან კარგად იცის, მაგრამ განგებ ერთმანეთში ურევს ყველაფერს მხოლოდ იმისთვის, რომ ბოლოს მე დიმიძახოს მოღალატე და საქართველოს გამყიდველი იუდა.

რადა? რად ჰჩადის ამას, რა ცეცხლი მოედო?

გამოიცვალა დროება. ბ. ყარიბი და მისი ამხანაგები ჰხედავენ, რომ ეროვნული მიმართულება ლიტერატურასა და ცხოვრებაში უფრო ვრცელდება და ვითარდება. გამოფხიზლდა ხალხი, თვითონ მასსა ჰგრძნობს თავის შეცდომას, იმ დროების თითი გონების დაბნელებას, როცა ჩვენი გაკრეჭილი დიაკვნები და სოფლის ფერშლები ციდან გამოგზავნილი მოციქულები ეგონა. გავიდა ის დრო, როცა ბბ. ყარიბნი არხეინად ჰცურაობდენ უცხო ქვეყნიდან გადმოვარდნილი უცხო მოძღვრების ტალღაში; ქართველი ერის საღმა და ჯანმთელმა ორგანიზმმა აიტანა ეს განსაცდელი, შეიშრო შხამიანი ტალღა და ბ. ყარიბებმაც, როგორც რიყეზე დარჩენილმა თევზებმა, დაიწყეს საცოდავად ფართხალი. ეს ფართხალი მართლაც გარიყულების ფართხალია.

მაგრამ ჯერ სადა ხართ, ბ. ყარიბო!? ეხლავე გიჯობსთ უფრო ჩაუკვირდეთ ცხოვრებას და მის მიმდინარეობას,— ხომ ხედავთ, რომ უკანასკნელი ჰევლიც მირბის, წყალი თანდათან შრება, რას გიშველისთ მარქსის მოძღვრების ფერად ფერადი კენჭებზე ფართხალი და ხტომა და ნუ მიყვებით კიდევ შურითა და მძულვარებით გაწითლებულ ლაყუჩების ბერვას.

**გ. გვაზავა.**

## მე წინ ვისწრაფვი!

ვერას დამაკლებს
ეგ მუქარა ბრაზ-მორეული,
და ვერც შხამ-გესლი
ანგარებით გადმონთხეული.

*
* *

მე წინ ვისწრაფვი
მსურს გავკაფო გზა-ეკლიანი,
ვპოვო მამაცი,
გულის სწორი ადამიანი.

**ი. გრიშაშვილი.**

### გაკვრით გამოკვრით

—

რაც ქართლში მოძრაობა დაიწყო, იქეთკენ აღარ ვყოფილვარ. ახლა როგორც იქმნა გადავწყვიტე ქართლისკენ წასვლა. მინდოდა შემეტყო, თუ რა ცვლილება შემოიტანა ერთობამ გორის მაზრაში, რომელიც დაბადებიდან მიყვარდა და ახლაც მიყვარს.

დავიბარე ეტლი სადგურამდის ბარგის გადასატანად,—ჩავაწყვე შიდ ხურჯინი, ბარგი-ბარხანა, გუდა-ნაბადი და გავწიე რკინის გზისაკენ.

სადგურზე არხეინად ამოვიღე ჯიბიდან ათშაურიანი და მივაწოდე მეეტლეს. მადლობას ველოდი, იმან კი თავში შემომახალა, „ის ალია წევიდა, სადაური ხარ, ახლა ტაქცია ოთხი აბაზია და ხიდშიაც ერთი შაური მივეცი, სულ ჩვიდმეტი შაური მერგებაო“. სხვა გზა არ იყო, კიდევ ერთი ათშაურიანი მიუმატე და ხურდა სამი შაური მოვთხოვე. „ერიჰა,—მომაძახა მეეტლემ —სდაჩი ნეტ, ბარინ, ვაში ზდაროვია ვიპიმ“, გაუტლაშუნა ცხენებს და მეც ჩემი ბარგი-ბარხანით პირდაღებული სადგურთან დამტოვა.

რა გაეწყობოდა, დრო აღარ იყო იმ სამ შაურს გამოვდგომოდი და დაბარგული საჩქაროდ შიდ სადგურში შევედი. მინდოდა ჯერ ბარგი ვაგონში დამებინავებინა და შემდეგ ბილეთი ამეღო.

„კუდა იდოშ, ნა პლატფორმუ ბეზ ბილეტა ნელზია“, შემომიყვირა ბოხის ხმით ერთმა ახმახმა და თვალები დამიბრიალა.

ბევრი ვეხვეწე, ბარგი მაქვს დასაბინავებელი და ბილეთს მერმე ავიღებ მეთქი,—მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ იმან ჩემი ქართული ვერაფერი გაიგო და მისი რუსული კი მხოლოდ „ნელზია“ მესმოდა. ერთი მუშტიც შემომიქნია,—ვიფიქრე, აქ ხუმრობა საქმე აღარ არის მეთქო და ჩემის ბარგი-ბარხანით ზედ კასსას მივადექი.

ჩვეულებისამებრ გადავეცი ერთი მანეთი და ერთი შაური და გორამდის მეორე კლასის ბილეთი მოვთხოვე.

„ნელზია, ეგ ალია წავიდა, რუბ ვოსემდესიატ ვოსემ დო გორი“, შემომესმა კასსიდან ვიღაც პატარა ქალის ბოხი ხმა.

„კაკოი ტაკოი რუბ ვოსემდესიატ ვოსემ, ბილეტ რუბ პიატ კაპიკ მეთქი, რაც ჩემი თავი მახსოვს მეტი არ გადამიხდიამეთქი.

აქაც ვიღაც ახმახი ყოფილა „ნე ზადერჟივაი, პრახადიო“, შემომიბღვირა.

რა გაეწყობოდა, ჩაუთვალე ერთი მანეთი და ჩვიდმეტ შაურ ნახევარი, ავიღე ბილეთი, ავიკიდე ზურგზე ხურჯინი და მთელი ბარგი-ბარხანით ვაგონისაკენ წავედი.

კარებში ის ახმახი რომ ვნახე, შიდ ცხვირში მივაჩეჩე ბილეთი და გამარჯვებული პლატფორმაზე გავედი.

ვაგონს რომ მივადექი, იქაც ვიღაც ახმახი დამხვდა,—იმანაც „გდე ბილეთო“ —შემომიყვირა.

მეც ვუთხარი „ვოტ ბილეთ“ მეთქი და მხიარულად ვაგონში შევედი. ღმერთს მადლობა შევწირე, აქ მაინც მოსვენებულად ვიქნები მეთქი გორამდის, მაგრამ გამიცრუვა იმედი.

ჯერ უკაკარდო ვიღაც მოვიდა, ბილეთი მოიკითხა და ვაგონში დაბინავების ნება მომცა.

ავჭალასთან კიდევ ვიღაც კაკარდიანი შემოვიდა ვაგონში და ამანაც ბილეთი მომკითხა.

ავჭალას იქით ვიღაც აფიცერმა დახედა ბილეთს.

კიდევ სადგური არ გაგვივლია და ისევ ის პირველი უკაკარდო მოვიდა...

და რამდენი სადგურიც არ შეგვხდა, ხან უკაკარდო კაცი კითხულობდა ბილეთს, ხან კაკარდიანი, ხან აფიცერი და ყველა აკვირდებოდა ჩემ ბილეთს,—თითქო შიდ რაღაც საიდუმლოს ამოკითხვა უნდაო.

ბოლოს წამართვეს კიდეც საცოდავი ბილეთი დაჩხვლეტილ-დახვრეტილი, იღბალი მისი, რომ მარტო გორამდის იყო, ექვსი სადგურის მეტი გასავლელი არ ჰქონდა, ბათუმის ბილეთი ბათუმამდის ცოცხალი მიაღწევს ნეტავი თუ არა?..

გორში ეტლი ავიყვანე და მტკვარს მივადექი. თურმე ახალი ხიდი გაუკეთებიათ, მშვენიერი სანახავია. სულ რიხინ-რიხინით გადავედი ხიდზე,—მეორე ნაპირას რამდენიმე ურემი იყო გაჩერებული და თითქოს რაღაცას ელოდენ. ვიკითხე, რას ელიან მეთქი. იქეთ მხრიდან ურმები მოდიან და ხიდზე ერთმანეთს ვერ აუქცევენ რაკი ხიდი ვიწროა, იმათ გამოსვლამდის ეს ურმები აქ მოიცდიანო, მიპასუხა მეეტლემ,

ვიფიქრე, ამ ხიდის აშენებლებს ჭკუაც ასეთივე ვიწრო ჰქონიათ მეთქი... გავიხედე მკვრისაკენ,—ხიდის ყურთან სადღაა გორის დიდებული ბაღი: თურმე მტკვარს და ლიახვს საერთო ძალით გაუსეირნებიათ იგი მის ხეებით, ხეხილით და უზარმაზარის როტონდით. ამბობენ კოტე სამთლიკულოვიც მოუტაცნიათ და ქალაქის საბრანიამდის ჩამოუტანიათო.

ცხინვალში წასასვლელად მოვიკითხე დილიჟანი.

„თქვენმა დილიჟნებმა თქვენი ჭირი წაიღო, ერთობამ გადაიტანაო, მითხრა მეეტლემ, თუ გნებავთ ცხინვალამდის მე წაგიყვანთ თოთხმეტ მანეთადო“.

ეს რომ გავიგე, თავბრუ დამესხა,— ჩემის ჯიბის ამდენი იმედიც არა მქონდა,—მეგონა უწინდელივით ოთხი აბაზი, ბევრი-ბევრი ერთი მანეთი დამიჯდებოდა ცხინვალში ჩასვლა. ველრიჭინე ბევრი და ბოლოს ერთ თუმანზე მოურიგდი, პირობა კი ჩამომართვა, რომ გზაში ყველა დუქანთან გავჩერებულიყავით და ღვინო გადაეკვრა...

წასასვლელად შემდეგი დილა დავნიშნე.

ერთობის შემდეგ გორი ვეღარ ვიცანი, მაზრის უფროსის ერთი თანაშემწე მომატებულა, „მიროვი სუდიას“-აც ერთი თანაშემწე მისცეს, ხაზინაში გლეხებს ხარჯის ფული სულ ტყაპა-ტყუპით შეაქვთ. შუა ქალაქში უზარ-მაზარი ბანკი გაუხსნიათ. გამიკვირდა, ეს რა ბანკია მეთქი!—

— ეშმაკმა იცის მაგათი თავი,—არც არას გვხთოვენ, არც არას გვაძლევენ, არც გვავნებს. არც არას გვარგებსო, მიპასუხა ერთმა დარბაისელმა.

თავადნი სიკო, საშა და დიდებული აზნაურები ჩიტო და ჟორჟიკა ტრახტირმჩიკებად გადაქცეულან, თავადი ილიკო ქალაქში წასულა,—ეტლს დააპროწიალებს თურვე ვერაზე.

ქალაქის „გალავად“ ზოგი პაპა ალექსის ამბობდა, ზოგი კი კოლას ასახელებდა. თურმე პაპა ალექსი კი არა, ვიღაც ინვალიდი პალკოვნიკი პაპალესკი ყოფილა

მოვშორდი გორს და ცხინვალისაკენ გავწიე. გორის ციხესთან რომ გავიარე, მეეტლემ მითხრა შიდ ვაკანსია აღარ არის და ციხეში ჩაჯდომის მსურველს სხვა ქალაქებში გზავნიანო.

— შეხედე, ბატონო, გაღმა თავიდი ოთარიჩი ლიახვის პირზე ბოლთასა სცემს, ტივებს ელის, შაბაში უნდა გადაახდევინოსო.

კარალეთში კურდღლებს სოფელი აეკლოთ. ნაცნობმა გლეხმა შემომჩივლა, რაც თოფები ჩამოგვართვეს და თოფის წამლის ყიდვის უფლებასაც არ გვაძლევენ,—ამ კურდღლებმაც კი დაგვიჯაბნეს და შიდ სახლებშიაც თამამად შემოდიანო. აგვიკლეს, გაგვაოხრეს—თუ ღმერთი გწამს, ეგება მონადირე გამოგზავნო ვინმე, თოფის ნებართვა ჰქონდეს,—გადაგვარჩინოს ამ უბედურებასო.

დავპირდი გაზეთში გამოვაცხადებ მეთქი თქვენ ამბავს და მთელი ქვეყნის მონადირეები აქ ამოვლენ თქვენ გადასარჩენათ.

მადლობა გადამიხადა გლეხმა წასვლა დავაპირე, მეეტლე კი არსად არ ჩანდა თურმე დუქანში შესულა... დავუძახე; შეზარხოშებული გამოვიდა, თან თოთხმეტი შაურის ანგარიში გამოატანეს...

**ერგნელი.**

(შემდეგი იქნება)

# ახალი ამბები

—

**მიიღება ხელის მოწერა გაზ. „ივერიაზე“. წლიური ფასი 3 მან.**

✦ 24 მაისს დანიშნულია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრება. ამ კრებაზე არჩეულ უნდა იქმნენ მარშლები და სათავად-აზნაურო ბანკის 105 რწმუნებული და თავად აზნ. მდივანი. მონაწილეობის მისაღებად ახალი სიები უნდა შესდგეს და ამიტომ მონაწილეობის მიღების მსურველმა ეს სურვილი თავის მაზრის მარშალს უნდა გამოუცხადოს.

✦ **ს. შუხუთი** (ოზურგეთის მაზ.) 13 იანვარს ადგილობრივ ქერივ იმნაიშვილს თავზე დაეცა 6 შეიარაღებული კაცი. ყაჩაღებმა სახლიდან ქვრივის ქალიშვილი მოიტაცეს. ქალის ყვირილზე მოირბინეს მეზობლებმა, უნდოდათ ავაზაკების დაჭერა, მაგრამ ვერ მოახერხეს, ერთი მეზობელთაგანი ორაგველიძე დაიჭრა კიდეც. ქალის გამტაცებელი ადგილობრივ მცხოვრების ივანე ბზეკალავას ვაჟი ყოფილა. ვერც გამტაცებელი და ვერც გატაცებული ჯერ კიდევ ვერ აღმოუჩენიათ.

✦ **ქ. ოზურგეთი.** აქაური ჯარი 20 იანვარს კიევში მიდის, სამაგიეროდ ოზურგეთში ტენგინის პოლკის სამი ბატალიონი ჩამოყავთ.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის დრ. გენ.-გუბ ნეიგებაურმა ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც ყოველი ის საქმე, რომელიც რკინის გზის საზღვრებში მოხდება, გადაეცემა ხოლმე მომრიგებელ მოსამართლეებს გასარჩევათ. წინეთ ეს საქმეები ადმინისტრატიული წესით წყდებოდა.

✦ 12 იანვარს ქ. ქუთაისში უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ღარიბ ადგილობრივ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებამ გამართა საღამო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო საგანგებოთ მოწვეულმა საოპერო დასმა ბ-ნ გ. ო. შუმსკის ლოტბარობით. საღამომ მშვენიერათ ჩაიარა.

✦ **მოულოდნელი ივცინდენტი.** 12 იანვარს, როგორც მოგეხსენებათ, დღეობა იყო პირველი უნივერსიტეტის რუსეთში დაარსებისა. ყოველი განათლებული და გაუნათლებელიც დიდის სიხარულით ეგებება ამ დღეს და ახალგაზრდათა შორის კი ლხენის და დროს გატარებას ბოლო არა აქვს. ამ დღეს საოპერო არტისტმა ბ. ლუტჩევმა ერთი სახუმარო ანეგდოტი სთქვა სახაზინო თეატრის სცენიდან და ბ. გიორგი გვაზავამ, „კრუჟოკში“ ვახშმის დროს წარმოსთქვა სიტყვა. „უნივერსიტეტი ის დაწესებულება არის—სთქვა ორატორმა—სადაც კაცობრიობის გონება იბრძვის, რომ ჩალეწოს დახშული კარი ბუნების საიდუმლოებისა და გამოაქვეყნოს მათი დამალული ძალები; ვუსურვოთ ყოველი წარმატება „ჩვენს უნივერსიტეტებსაო“. ეს იყო. მაგრამ ვიღასაც ეს სიტყვა სულ სხვა ფერად მოეჩვენებია და გუშინ წინ ბ. გვაზავა და არტისტი ბ. ლუტჩევი დაიბარეს პოლიციაში და შეუდგინეს მათ „პროტოკოლები“. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ოქმი არ დაიკარგება უხმოდ, გადაეცემა პროკურორს და დამნაშავის სკამზე გამოიჭიმებიან ბ გ. გვაზავა და არტისტი ლუტჩევი. ნეტავი თუ არის ისეთი კანონი, რომლის ძალით აკრძალულია ხუმრობა, ღვინის სმა, არშიყობა და სადღეგრძელოები!

✦ გამოვიდა და იყიდება ქართული ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალ „ფასკუნჯის“ მესამე ნომერი. ნომერი მეტად საინტერესო შინაარსიანია და მკითხველ საზოგადოებაში გავრცელებას ვუსურვებთ.

✦ **კახეთის რკინის გზა.** როგორც მკითხველებმა იციან, ტფილისის თავ.-აზნაურობამ სამინისტროში კახეთის რკინის გზის კონცესია ითხოვა და საამისოდ ხაზინაში 30,000 მანეთი შეიტანა. პეტერბურგში ამ საქმის შესახებ სამინისტროში 17 თებერვალს მოხდება კრება, რომელზედაც უნდა გადაწყდეს თავ.-აზნაურობის თხოვნა. ამ კრებას დაესწრებიან: მარშლები თავ. პ-ი. თუმანიშვილი, დ. ე. ჩოლოყაშვილი, და ინჟინრები: თავ. გ. პ. თუმანიშვილი და ი. ზ. ანდრონიკაშვილი.

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატის განკარგულებით გორის მაზრაში შინდისის საზოგადოების სოფლები გორის მომრიგებელ მოსამართლის უფლებას მოშორდა და ცხინვალის მომრიგებელ მოსამართლის ხელში გადავიდა.

✦ ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილმამულო ბანკის განმარტებითი ვაჭრობაზე ბანკს შერჩა 47 მამული, მათ შორის 12 ქ. ტფილისში, 19 სოფლად (მომეტებული გორის მაზრაში) და 16 სხვა ქალაქებში. ქ. ბაქოში ბანკს არც ერთი მამული არ შერჩენია.

✦ 14 იანვარს, ქ. პეტერბურგში ადგილობრივმა ქართველმა დრამატიულმა წრემ წარმოადგინა 4 მოქმედებიანი დრამა „ელეონორა“ (ალ. ყაზბეგის მოთხრობიდან გადმოკეთებული) და ვოდევილი „ოთხი იმერელი“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა სხვათა შორის ანეტა ჩირგაძე, რომელსაც წინეთაც არაერთხელ უთამაშნია სხვა და სხვა ქართულ პიესაში, მაგ. „ღალატში“ (ზეინაბი) და სხვა.

როგორც გვატყობინებენ პეტერბურგის დრამატიულ წრეებში ყურადღება მიუქცევიათ ახალგაზრდა მსახიობის დრამატიულ ნიჭისთვის და მას ბრწყინვალე მომავალს უქადიან. საჭიროა ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამ ამ ქალის ნიჭი ქართველ ხალხს არ დაუკარგოს.

✦ **დ. ყვირილა.** ადგილობრივ სამეურნეო ბანკის საქმეები ისევე იწეწება. წევრების ერთ ჯგუფს განუზრახავს ბანკის დირექტორის თანამდებობაზე საზოგადო კრებას აარჩევინოს ამავე ბანკის ბუხგალტერი ბ. ა. თუმანოვი. საამისოდ ბანკის წევრებად აღებინებენ ისეთ წვრილ-წვრილ კრედიტიან პირებს, რომელთაც ბანკის არსებობა ან დაღუპვა სრულებით არ აინტერესებთ. ამ ჯგუფის კანდიდატი ის ბ. თუმანოვია, რომელსაც შარშან საზოგადო კრებამ ერთხმად უნდობლობა და ზიზღი გამოუცხადა და რომელიც ამისდა მიუხედავად რაღაც სასწაულით ბანკის სამსახურში მაინც დარჩა. საჭიროა ყვირილელმა ვაჭრებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას,— ბანკის დაღუპვა არც ისე ძნელია,—ბანკის არსებობისათვის კი აუცილებლად საჭიროა მის სათავეში იდგეს სწორედ ასეთი ადამიანი, რომელსაც ვაჭრები და ფულის პატრონი პირები ენდობიან.

# დეპეშები

—

**მოსკოვი.** ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე მილიონერ მოროზოვის ანდერძის გაუქმებაზე და გადაწყვიტა აპეკას გადასცეს გარდაცვალებულის ქონება.

**კელნი.** პოლიტიკური განწყობილება უკანასკნელ 24 საათის განმავლობაში უკეთესია, რუსეთის წინადადებაში აღნიშნული შეთანხმება მოხდება.

**ვოზნესენსკაია.** (ყუბანის ოლქი) ხოლერა ისევე გაჩნდა. ავად გახდა 4, მოკვდა 2.

**ვენა.** ავსტრო-უნგრეთის და ოსმალეთის შეთანხმების აქტი, რომელშიაც აქ ზოგიერთი ცვლილება შეიტანეს, ხვალ სტამბოლში გაიგზავნება.

**ბერლინი.** პეკინიდან იტყობინებიან, რომ ჩინეთის პრესსა პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ უცხოელი სახელმწიფოები ჩინეთის შინაურ საქმეებში ერევიან, რასაც ადგილი ჰქონდა იუანშიკაის დათხოვნის საქმეში.

**ტომსკი.** პოლიციამ ს.-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი კომიტეტი დაატუსაღა. დაჭერილია 9 კაცი, ფარული გამოცემები, მიწერ-მოწერა და ბეჭდები.

**ვენა.** ბოლგარიიდან იტყობინებიან, რომ იქაურმა მთავრობამ ევროპის დიდ სახელმწიფოების წარმომადგენლებს სთხოვა დაეჩქარებიათ ბოლგარიის მთავრის მეფედ გამოცხადება, რადგანაც ოსმალეთმა ეს საკითხი მათ გადასცა გადასაწყვეტად; დაყოვნებამ შეიძლება თვით ბოლგარიაში არა სასურველი აღელვება გამოიწვიოსო.

**სტამბოლი.** შინაგან საქმეების მინისტრმა მაკედონიაში მომხდარ უწესოების შესახებ შეკითხვაზე დეპუტატების კრებაში სიტყვა წარმოსთქვა. ილაპარაკეს აგრეთვე სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა. ბერძენმა ნალისმა უწესოების მიზეზად რუსეთის პოლიტიკა დაასახელა· მას სიტყვა გააწყვეტინა ახალგაზრდა-ოსმალომ რახმიმ, რომელმაც განაცხადა, აქ უადგილოდ მიმაჩნია რუსეპოლიტიკაზე ლაპარაკიო.

### ამასხიმას

—

„ჩემო სამშობლოვ ვიზრდები შენთვის, სუყველაფერი რაც გამაჩნია წმინდათაწმინდა გრძნობა-გონება მხოლოდ შენია, მხოლოდ შენია!

ძმობა—ერთობავ, თავისუფლებავ, შენი ვარ, შენვთის ვიკრეფ ძალასა, ჩემს ცხოვრებაში, ჩემს სიცოცხლეში არ მივატოვებ შენს გზა და კვალსა!“

აი ფიცი ღრმესი, უწმინდესი, უმწიკვლესი, უფაქიზესი, მგრძნობიერი, ღონიერი, გონიერი.

ამ ფიცს სდებენ ხოლმე ჩვენი სტუდენტები, როდესაც დაიხურავენ ლურჯ „აკოლიშიან“ ქუდს. ფიცი გულწრფელი. მისწრაფება სპეტაკი. მოდი და ნუ დაიჯერებო.

აი, ამ სტუდენტებმა წარსულ კვირას ხარკოვის უნივერსიტეტიდან მიმართეს თავის ამხანაგებს, რომელთაც უკვე დიდი ხანია გაათავეს სასწავლებელი (და არა სწავლა!) და სასწავლებელში ყოფნის დროს სარგებლობდენ სტუდენტთა კასსიდან ფულით. მიმართეს მათ და მოაგონეს იურიდიული ვალი. იურიდიული იმიტომ, რო ზნეობრივი მათ ისევე დავიწყებული აქვთ, როგორც ზემოთ მოყვანილი ფიცი სტუდენტობის დროს. მოვაგონებთ ჩვენც მათ ამასვე და შევლაღადებთ:

ჰოი, წამებულნო სამშობლოსათვის, და ძმობა-ერთობა-თავისუფლებისთვის, თქვენ, რომელნი შესდგომიხართ გოლგოთას, რომელსა ზედა აგიყუდებიათ კიბე ბიუროკრატიული, ზურგსა თქვენსა წამებისა ჯვარის მაგიერ ამძიმებს დიპლომი და შუბლსა თქვენსა ღერბიანი ფურაჟკი, კიბესა ზედა ქანქაროვანი ოცი გკიდიათ, ჰოი, წამებულნო, მიეცით კეისრისა კეისარს, რათა იგიც შეუდგეს ეხდენ წამებულსა გზასა თქვენსასა!

* *
*

როგორც შესდგომია წამებულს გზას „ჩვენი გზის“ ბაქოელი კორესპონდენტი. მას უკვირს, იტანჯება, სტირის და ბორგავს, რადგან ორჯელ ორი ოთხია და არა ხუთი. მას დაუნახავს და დაუმტკიცებია, რომ ფედერალისტები თვის პარტიის ინტერესებს ესარჩლებიან. ეს თუმ-

ცა ძალიან მწვავეთ, მაგრამ სულ უბრალოთ აღმოჩენილა. ბაქოელ მოწინავე მუშებს, როგორც თვითონ ამბობს „ჩვენი გზის“ კორესპონდენტი, უთხოვიათ იქაურ ქართულ თეატრის მსახიობთათვის დაედგათ წარმოდგენა „მუშების“ გაზეთის სასარგებლოთ. მსახიობთა უმრავლესობა კი თურმე ფედერალისტთაგან შესდგება. და როგორც ფედერალისტებს მათ უარი განუცხადებიათ დახმარებაზე. აი ეს და სხვა არაფერი გაჰკვირებია ბაქოელ კორესპონდენტს, ამას უტკენია მისთვის კუჭი, მაგრამ ამასვე აუხელია მისთვის თვალები. მას „ამიერიდგან“ გაუგია და შეუგნია, რომ ეს პარტია შოვინისტებითაა სავსე, რომ ამ პარტიაში ბევრნი მჯილს იცემენ მკერდსა თვისსა, ხოლო გული მათი შორსაა კულტურულ მუშაობიდან, რომ მასში უმრავლესობა ბრმა ვარსკვლავია! მაგრამ კბილი კბილისა წილ და თვალი თვალისა წილ. გულზე ხელი დაიდე და სხვას თუ არ გამოუტყდები, ბ-ნო კორესპონდენტო, შენს თავს მაინც ჰკითხე: ნუთუ თქვენ გაუმართავთ წარმოდგენას ფედერალისტების გაზეთს? ეჭვს გარეშეა, რომ არა. არა მიტომ, რომ ბრმები, შოვინისტები ხართ, სამწუხაროთ თქვენს ირგვლივაც იმდენივე ირევიან, რამდენიც მათ გარშემო.

მაშ ამოიღე ძელი თვალთაგან შენთა და ი‘ე უსაყვედურე უსინათლობა მოყვასსა შენსა. მანამდე კი, როგორც ესდეკებისთვის, ისე ფედერალისტებისთვის ცუდათ გათავდება ყოველი საქმე კულტუროსანი.

* * *

„ჩვენი გზის“ ამ წლის მეათე ნომერშივე მოთავსებულია ხელმოუწერელი წერილი, ალბათ ეს წერილი ეკუთვნის რედაქციის კორპორაციას. ამ წერილში ჩვენი გზა უკიჟინებს „ტბილისის ლისტოკს“: „ამა თუ იმ სტატიის დაბეჭდვა მის (ე. ი. თანამშრომელის) სურვილზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზე, თუ რა თვალით უყურებს მას რედაქტორი და გამომცემელიო...“ გვატყობინებს „ახალ ამბავს“ „ჩვენი გზა“. როგორც ხედავთ „ტბილისის ლისტოკის“ თანამშრომლები რედაქტორის ყმები ყოფილან. გვჯერა, გვჯერა იმიტომ, რომ ეს წინეთაც ვიცოდით. ვიცით, რომ ბ-ნი „ნორდი და ლ. ყიფიანი კარგა ხანია ჯამბაზობენ ხეჩატუროვის ლოტბარობით, მაგრამ ნუ თუ თქვენც ვერავინ ვერ ჰპოვეთ მართლაც და ღირსეული ამხანაგის კუბოს წინ გასაძღოლათ? ნუთუ, ნუთუ მართლა ასე დაუძლურდით, რომ ას ლიტერატურულ „ვაჟბატონებს“ იმძღვარებთ წინ?!

**ი. ევდოშვილი.**

## ჩემი დღიური

—

ერის პოლიტიკური ცხოვრება მუდამ რყევასა და ცვლილებაშია. ერთი პოლიტიკური პარტია მეორეს ებრძვის, ამ ბრძოლაში ხან ერთი მხარე რჩება გამარჯვებული, ხან კიდევ მეორე, ხან პროგრესსიული ელემენტები სდგებიან ცხოვრების სათავეში, ხან კიდევ რეაქციის შავბნელი ძალები ბრძანებლობას იწყებენ და ხალხს თავისუფლებისადმი ყოველივე მისწრაფებას უსპობენ...

ამ ხუთიოდე წლის წინეთ ხალხში თავისუფლებაზე უბრალო ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, პოლიციის ბატონობის ქვეშ იბადებოდა ადამიანი, პოლიციის თვალწინ იზრდებოდა, პოლიციის ნებაზე ცხოვრობდა, უპოლიციოდ სიკვდილიც არ შეიძლებოდა. ყოველ საზოგადო მოვლენას, კერძო ადამიანის ყოველ აზრს, საზოგადოებაში წარმოთქმულ ყოველ სიტყვას პოლიციის ნებართვა ან მოწონება უნდა მიეღო.

ასეთმა მდგომარეობამ ხალხში შემოქმედებითი ძალები მოადუნა და იაპონიასთან ომიანობის დროს რუსეთის ხელოვნურად შექმნილი პოლიტიკური სისუსტე ქვეყანას ანახა.

ეს სისუსტე მხოლოდ გარეგანი გამოდგა,—რუსეთში მცხოვრებ ერებს სასიცოცხლო ძალები შერჩენიათ და მანჯურიის ველებზე ოფიციალურ დამარცხებას შიდ, სახელმწიფოს შუაგულში, ძველ წყობილებას კიდევ ახალი, არა ოფიციალური დამარცხება ელოდა, ოფიციალურ დამარცხებაზე უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი.

რუსეთის რევოლუციამ ხალხის პოლიტიკურ აზროვნებას თავისუფალი გზა გაუხსნა. წინეთ პოლიციის შიშით ვერავინ თუ ვერ ბედავდა საკუთარ აზრის წარმოთქმას, ახლა ამ მხრივ ყოველივე დაბრკოლება მოისპო და როგორც ალვირაწყვეტილი ცხენი გარბის და მიაჭენებს, ხშირად გზა-კვალსაც არ არჩევს, წინ მიხტის და იჩეხება, ისე პოლიტიკურ მონობაში აღზრდილმა ხალხმა თავისუფლება რომ იგემა თავი ვერ შეიკავა; წინ, სულ მუდამ წინ სიარული მოინდომა, სიარულს სირბილი თან მოაყოლა, უგზა-უკვლოდ დაიწყო ახალ იდეალების წამოყენება და ბოლოს ესეც გადაიჩეხა.

რევოლუციის ბატონობა ხანგრძლივი არ გამოდგა. ძველ წყობილების მომხრეებმა ისარგებლეს ხალხის ძალების დაქსაქსვით, რომელიც სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიის შეურიგებლობამ და ერთმანეთში ბრძოლამ გამოიწვია,—და ერთის დაკვრით ისევ სახელმწიფოს ბატონობა მიიღეს. დადგა რეაქციის დრო, ეს დრო დღესაც არ გათავებულა, რეაქციის ტალღები საშინელის სიძლიერით ეცემიან ხალხის იდეალებს, ძირს უთხრიან მათ და უნდათ მოსპონ და წალეკონ ყოველივე ის, რაც რევოლუციამ ხალხში შემოიტანა. ეს ტალღები ქართველ ერის სხვადასხვა იდეალებსაც ხვდებიან...

ამ გამანადგურებელ ტალღებს თავიანთი მაქებრები ჰყავთ. ეს მაქებრები ჩვენშიაც არიან,—ერთმა მათგანმა, „ზაკავკაზსკოე ობოზრენიეს“ შაბათის ნომერში თავი ამოჰყო და საზოგადოებას თავის შეხედულება გაუზიარა.

ჩვენ თ. დავით ზაქ. მელიქიშვილზე ვლაპარაკობთ. ამ ბატონმა, რომელსაც ქართველ საზოგადოების ერთი ნაწილი დღემდის გონებრივად დამონებული ჰყავს, რომლის სიტყვას მოწიწებით ისმენენ ხალხის გაბატონების მტრები, იფიქრა ალბათ ქართველ ერის მარჯვნისაკენ გადაწევით ვისარგებლებო და ხალხს გაზეთის საშუალებით თავისი პოლიტიკური მიმართულება გააცნო...

რა მოწიწებით ეკიდება ქართველ საზოგადოების ერთი ნაწილი ბ. მელიქიშვილს,—ამისი საუკეთესო მაგალითია ტფილისის თავად-აზნაურობის უკანასკნელი კერძო კრება, რომელმაც ბ. მელიქიშვილის წინადადებით გაარჩია ქ. ქუთაისში ბ. დავ. მიქელაძისგან კერძო ლაპარაკში წარმოთქმული ბ. მელიქიშვილის საწინააღმდეგო აზრი. კერძო ლაპარაკში კერძო პირისგან ნათქვამი სიტყვა ბ. მელიქიშვილისათვის საკმარისი გამოდგა, რომ შეენძრია ქვეყანა და ტფილისის თავად-აზნაურობისათვის მოეთხოვნა, ამ საკისხის თვის საზოგადო მნიშვნელობა მიეცათ. თავად-აზნაურობამაც მორჩილად აასრულა თავის ყოფილ ბატონის მოთხოვნა და მას კრებაზე კეთილ-საიმედო პირის მოწმობა მისცა.

თავისიანებისაგან მიცემულ მოწმობით გათამამებული თავადი მელიქიშვილი ახლა უფრო შორს მიდის, უნდა ასეთივე მოწმობა მთელ ერისაგან მიიღოს,— სხვა რა მიზანი უნდა ჰქონდეს გაზ. „ზაკავკაზსკოე ობოზრენიეში“ მის წერილს რომელშიაც ეს ბატონი თავის პოლიტიკურ მიმართულებას გამოსთქვამს.

ამ მიმართულების მთავარი აზრია— ხალხის წარმომადგენლობის უარის ყოფა, ხალხის გაბატონების წინააღმდეგობა. ბ. მელიქიშვილი აცხადებს, რომ სახელმწიფო სათათბიროს მხოლოდ მრჩეველის უფლება უნდა მიეცეს, რომ ხალხის წარმომადგენლებს სახელმწიფო საქმეების სამართლიანად და რიგიანად გადაწყვეტა არ შეუძლია. ის, რასაც თავის „მოსკოვის კრებულში“ ჰქადაგებდა რუსეთის დამღუპველი, ხალხის დამაბეჩავებელი, ჩვენი მტერი ცნობილი პობედონოსცევი,—ახლა პროგრესიულ გაზეთის ფურცლებზე თამამად იმეორებს თავადი დ. მელიქიშვილი და იმედი აქვს, საზოგადოება ამ აზრს მოუწონებს, და მის მთქმელს პოლიტიკურ ბელადად გაიხდის.

მაგრამ შემცდარია,—ქართველი ერი მართალია, თან და თან შორდება თავის მემარცხენე მეთაურებს, შორდება სოციალისტურ იდეალებს, მარჯვნივ იწევა. მხოლოდ ეს მარჯვნივ გადაწევა ხალხის პოლიტიკურ უფლების უარის ყოფით ვერ დასრულდება, ეს მარჯვნივ გადაწევა პირ იქით სწორედ ამ უფლებების განხორციელების სურვილით არის გამოწვეული.

მემარცხენე პარტიების ტაქტიკამ ქართველ ერს პოლიტიკური უფლებები ვერ მოუპოვა, მემარჯვენე მელიქიშვილების ქადაგება ხომ სწორედ ამ უფლებების უარყოფაზეა აშენებული. მელიქიშვილები უფლებაზე ლაპარაკს გაურბიან და ზევიდან მხოლოდ წყალობას ელიან, ხალხისაგან თავის საკუთარ საჭიროებათა დაკმაყოფილებას გაურბიან და მოწიწებით მეფის ტახტთან მხოლოდ უბრალო რჩევის გამოთქმას ბედავენ...

და ასეთი პირები ცდილობენ დღეს ქართველებში გავლენის მოპოვებას! დღეს გარკვევით და თამამად აცხადებს ქართველი ერი თავის სურვილებს, აღიარებს თავის ეროვნულ დაჩაგვრას, ეროვნულ იდეალების დასაცველად ძალებს იკრებს, ეროვნულ უფლებების წამოყენებას აპირებს... დღეს ხალხის ფართო მასსები შეგნებულად გამოდიან პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე და აქ საჭირო უფლებებს ითხოვენ... დღეს ხალხს უნდა თავის საქმეების გამგედ და გადამწყვეტად თვითონ გახდეს, სახელმწიფო სათათბიროში მათ გადაცემასაც ერიდება და ცდილობს აქ, ადგილობრივ, თვით ხალხზე იყოს დამოკიდებული ადგილობრივ ცხოვრების მიმართულება... ყოველი შეგნებული, ხალხის ერთგული და ეროვნულ იდეალებით გატაცებული ადამიანი შეგნებულად ხელს უწყობს ხალხის ცხოვრების ასეთ მიმართულებას...

ამ დროს მელიქიშვილებს რა უნდათ, რისი იმედი აქვთ, როდესაც გვეუბნებიან რომ ხალხის წარმომადგენლებს მხოლოდ მრჩეველი ხმა უნდა მიენიჭოსო...

ჩვენ მარჯვნივ ვიწევით, მაგრამ ამ გადაწევას თავისი საძღავრი უდევს და როგორც ამ საზღვრებს გარეთ მარცხნივ დარჩენილ ელემენტებს ხალხისთვის მავნებლად ვთვლით და ვებრძვით, ასევე ვებრძვით და ქართველებისთვის მავნებლად ვაცხადებთ მარჯვნივ, საზღვრებს იქეთ გადავარდნილ მელიქიშვილებს...

ხალხის გაბატონების მტერი ქართველ ეროვნებისაც მტერია, რადგანაც ეროვნების გაძლიერება მხოლოდ ხალხის გამოფხიზლებით და გაბატონებით არის საფიქრებელი,

**მეთვალყურე.**

—

## დაბა-სოფლებში

### ქ. ოზურგეთი.

კვირას, 4 იანვარს 1908 წ. თვით-მართველობ’ის დარბაზშიდ ოზურგეთში, აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ, ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნა ქართულ ენაზედ 1) „ნათელა“ (გადმოკეთებული ბებ. ბებურიშვილისა) 2) „ოინბაზი“ (ვოდევილი 1 მოქმედებათ, ცაგარელისა). რუსულ ენაზედ „საუბედურო დებიუტი“ (ხუმრობა 1 მოქ.) ანტრაქტებშიდ სამხედრო მუსიკა უკრავდა. წარმოდგენას აუარებელი ხალხი მიაწყდა ასე რომ ადგილის შოვნა ძრიელ გაჭირდა. საზოგადოების მოლოდინიც არ გაცრუებულა,—თეატრში სრული წესიერება სუფევდა, სცენის მოყვარენი მშვენივრათ თამაშობდენ და საზოგადოება ძრიელ ნასიამოვნები დარჩა. ერთი სიტყვით ასეთი კარგი წარმოდგენა ოზურგეთს დიდი ხანია არ ღირსებია. მშვენიერი იყო კაკალა ნაკაშიძე ნათელას როლშიდ, ის საუცხოვო კარგათ ხატავდა სურათს და როლიც კარგად ჰქონდა შესწავლილი, და საზოგადოებამ ძრიელის ტაშის ცემით დააჯილდოვა. კარგად ასრულებდა მეფის როლს ბ-ნი ს. ხურციძე და ზურაბის როლს ბ-ნი ყ. ქარცივაძე. კარგი იყო ბ-ნი ბ. ბებურიშვილიც, თვით გადმომკეთებელი ამ პიესისა. „ნათელას“ შემდეგ დადგეს რუსულად „საუბედურო დებიუტი“, ესეც მშვენივრათ ითამაშეს.

ამ ვოდევილის გათავების შემდეგ დადგეს „ოინბაზი“. კარგად ასრულებდა ტიგრან სოლომონიჩის როლს ბ-ნი ივ. დემუროვი და სონას როლს ქ-ნი კაკალა ნაკაშიძე. „ოინბაზის“ გათავების შემდეგ ბ-ნმა ბ. ბებურიშვილმა წაიკითხა რუსულ და ქართულ ენაზედ ლექსები და ბ-მა ს. ხურციძემ სცენები გურიის და სამეგრელოს ცხოვრებიდგან. ხალხი ძრიელ ნასიამოვნები დაიშალა.

**გრიშა გურული.**

რედაქტორ-გამომცემელი
**კ. ი. ხერხეულიძე.**


## განცხადებანი

ამხ. **„სორაპანი“**

ღებულობს დაკვეთებს ყოველ-
გვარ საბეჭდავ საქმეებს, მაგ. გაზეთებს,
ჟურნალებს, წიგნებს, ბროშურებს და სხვა
და სხვა ბლანკებს. სტამბა ყოველ ამ
საქმეს ასრულებს სუფთად და სწრაფად.
სტამბასთან მოთავსებულია წიგნების
სააკინძო სახელოსნო.

**სტამბა იმყოფება მადათოვის კუნძულზედ მცხეთის სახლში № 1. ტელეფონი № 539.**

**მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლ.**

## „ფასკუნჯზე“

ფასკუნჯი—ღირს წლით 5 მან. 6 თვით 3 მან. და 4—3 მან.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს სამსონ ფირცხალავას სახელზე (ტფილისი წერა-კითხვის საზოგადოება).

**დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ**

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ | დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

## კედლის კალენდარი

# 1909

**გამოცემა ამხ. „სორაპანისა“.**

**ფასი 40 კაპ.**

**შედგენილი გრ. ჩარკვიანის-მიე.**

ქართველთათვის, სომეხთათვის, კათოლიკეთათვის მაჰმადიანთათვის და ებრაელებთათვის.

კედლის კალენდრის კარდონზედ დახატულია საზოგადო მოღვაწეთა სურათები, სხვათა შორის მოთავსებულია **მეფე ვახტანგ მეექვსეს** სურათი 200 წ. სტამბის დაარსების გამო საქართველოში და **აკაკის სურათი** მისი 50 წლის მოღვაწეობის იუბილეის გამო.

გამყიდველებს დაეთმობათ % 20—25—30, იმისდა მიუხედავათ თუ ვინ რამდენს იყიდის.

გვაქვს მიღებული საუკეთესო კარდონი კედლის კალენდრისათვის ლეიპციგშიდ დაბეჭდილი—ამნაირ კარდონზედ კალენდარი ეღირება 60 კაპ.

ვთხოვთ პროვინციის აგენტებს კალენდრები მოითხოვონ იმდენი რამდენიც გაიყიდება, რადგან გაუყიდავი კალენდრებს **უკან აღარ ვიღებთ.**

იბეჭდება და გამოვა ამ თვის დამლევს ჯიბის კალენდარი.

**შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.**

მრავალი სურათებით და **საუცხოვო ლიტერატურული განყოფილებით.** ჯიბის კალენდარში, სხვათა შორის, მოთავსებული იქნება სამეც. წერ. **ივ. გომართელისა**, პუბლიცისტური წერილი **აკაკისა**, ისტორიული წერილი **ზ. ჭიჭინაძისა** და სხვა და სხვა...

ფასი კალენდრის 20 კაპ. მყიდველებს იგივე % დათმობა, როგორც კედლის კალენდარზე.

ვისაცა სურს კალენდრების გამო წერილობით მოლაპარაკება უნდა მოზვმართოს შემდეგი ადრესით: **Тифлисъ т-во „Сорапанъ“ м. Гачечиладзе.**

GRAND PRIX.
პარიჟი 1900 წ.

1870 г. 1882 г.

1865 г. 1896 г.

ქვეყანაზე საუკეთესო

# გალოშები

სამკუთხიანი ნიშნით

**1860.**
**Т.Р.А.Р.М.**
**С.ПЕТЕРБУРГЪ.**

რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურის ამხანაგობისა

ფირმით **„სამკუთხი“** ს.-პეტერბურგში.

ჰასუხს ვაგებთ, რომ საქონელი კარგი თვისებისაა

**იყიდება ყველგან.**


ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ამხ. „სორაპანი“-სა, მადათოვის კუნძული № 1, ტელეფ. № 539.